



**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**  
**საქართველოს სახელით**  
**საჯარო შეტყობინების განხორციელების შესახებ**

საქმე№2ბ/4599-10

02 მარტი 2011 წელი  
თბილისი

**თბილისის სააპელაციო სასამართლო**

სამოქალაქო საქმეთა პალატაში  
შემდეგი შემადგენლობით:  
თავმჯდომარე: თინათინ ეცადაშვილი  
მოსამართლეები: ირაკლი აღეიშვილი  
გოდერძი გიორგიშვილი

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა – ირინა კარაკეშიშვის და ვაჟა შაროვის და გიორგი ბასილაშვილის სააპელაციო საჩივარზე გზავნილისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში 2011 წლის 10 მარტს 13:00 საათზე დანიშნული სხდომის თაობაზე სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ნანული ანდრიაშვილის სარჩელი ნასყიდობის და იპოთეკის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის, უძრავი ქონების გამოთხოვისა და ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების თაობაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ნანული ანდრიაშვილის მიერ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 31 იანვრის განჩინებით ნანული ანდრიაშვილის სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში.

სააპელაციო საჩივარზე მოწინააღმდეგე მხარეებს წარმოადგენე: გიორგი ბასილაშვილი, ირინა კარაკეშიშვი, თინათინ თხილიაშვილი, ეველინა ზახარიანი,

გიორგი ჯანელიძე, ვაჟა შაროვი, ბორის გვილავა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიურო.

სასამართლომ მოწინააღმდე მხარეების გიორგი ბასილაშვილის, ირინა კარაკეშიშვილის და ვაჟა შაროვისათვის სააპელაციო საჩივრის საჯარო შეტყობინებით გზავნილის ჩაბარების მიზნით დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტები:

საქმის განხილვისათვის მომზადების მიზნით მოწინააღმდეგე მხარეებს – ირინა კარაკეშიშვილის და ვაჟა შაროვს და გიორგი ბასილაშვილს რამოდენიმეჯერ გაეზავნათ უწყება სასამართლო სხდომის შესახებ და ნაწილი ანდრიაშვილის მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის ასლი, მაგრამ ჩაბარება ვერ მოხერხდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამის სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით. სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის „ა“ და „ბ“ თანახმად, სასამართლო უგზავნის მოპასუხეს სარჩელისა და ამ კოდექსით გათვალისწინებული დოკუმენტების ასლებს, დაუნიშნავს მოპასუხეს (მოწინააღმდეგე მხარეს) ვადას იმისათვის, რომ მან წერილობით შეადგინოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასზე დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის თანდართიული დოკუმენტების შესახებ და წარუდგინოს სასამართლოს. დანიშნული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 21 დღეს.

მოცემულ შემთხვევაში პალატამ მიიჩნია, რომ მოწინააღმდეგე მხარეებს წერილობითი პასუხის სასამართლოში წარმოდგენისათვის უნდა მიეცეთ 07 დღის ვადა.

ამასთან, ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარეებისათვის ირინა კარაკეშიშვილისათვის, ვაჟა შაროვისათვის და გიორგი ბასილაშვილისათვის უწყებების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სააპელაციო პალატა თვლის, რომ მათ საჯარო შეტყობინებით ასევე უნდა ეცნობოთ სასამართლო სხდომის დღის შესახებ.

სააპელაციო პალატა თვლის, რომ საჯარო შეტყობინება უნდა გავრცელდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებ-გვერდზე განჩინების გამოქვეყნების გზით.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 390-ე მუხლებით და

## დ ა ა დ ბ ი ნ ა:

1. ეცნობოთ მოწინააღმდეგე მხარეებს – ირინა კარაკეშიშვილს, ვაჟა შაროვს და გიორგი ბასილაშვილს, რომ სასამართლო სხდომა დანიშნულია 2011 წლის 10 მარტს 13.00 საათზე. სხდომა გაიმართება თბილისის სააპელაციო სასამართლოში (თბილისი, გრ. რობაქიძის 7ა, დარბაზი №20).
2. განემარტოთ ირინა კარაკეშიშვილს, ვაჟა შაროვს და გიორგი ბასილაშვილს, რომ სასამართლო უწყება და გზავნილი მათვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების განხორციელებიდან მეშვიდე დღეს.
3. მოწინააღმდეგე მხარეებმა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით (როგორც წესი, ნაბეჭდი სახით) უნდა შეადგინოთ პასუხი (შესაგებელი) სააპელაციო საჩივარსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, მოსაზრებები სააპელაციო საჩივარზე დართული საბუთების შესახებ და წარუდგინოთ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მათი ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში. სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავით დადგენილი წესით. ინფორმაციას, პასუხის (შესაგებლის) შევსების წესების, აგრეთვე მისი წარუდგენლობით გამოწვეული შედეგების შესახებ, გაცანით შესაგებლის შევსების ინსტრუქციაში (თან ერთვის პასუხის (შესაგებლის) ფორმა).
4. აღნიშნულ პროცესზე გამოუცხადებლობასთან დაკავშირებით მოწინააღმდეგე მხარეებს: ირინა კარაკეშიშვილს; ვაჟა შაროვს და გიორგი ბასილაშვილს განემარტოთ შემდეგი:

— თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება აპელანტი ან მოწინააღმდეგე მხარე, რომლებსაც გაეგზავნათ შეტყობინება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, სასამართლო უფლებამოსილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავის შესაბამისად გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

— თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება არც ერთი მხარე, რომლებსაც გაეგზავნათ შეტყობინება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება სამოქალაქო საპროცესო

კოდექსის 276-ე და 278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები. გამოუცხადებლად ითვლება მხარე, რომელიც, თუმცა სასამართლო სხდომაზე დანიშნულ დროს გამოცხადდა, მაგრამ უარს ამბობს საქმის განხილვაში მონაწილეობაზე.

— დაბარებული პირი ვალდებულია გამოუცხადებლობის მიზეზი სხდომის დაწყებამდე აცნობოს სასამართლოს. საპატიო მიზეზად ჩაითვლება ავადმყოფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოება, რაც პირისგან დამოუკიდებელი მიზეზიდან მომდინარეობს. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

5. განჩინების გამოქვეყნება განხორციელდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებ-გვერდზე.

6. განჩინება არ საჩივრდება.

თავმჯდომარე:

/თინათინ ეცადაშვილი/

მოსამართლეები:

/ირაკლი ადეიშვილი /

/გოდერძი გიორგიშვილი /